

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების
შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია
საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლისათვის ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო
კლასიფიკაციის შესაბამისად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების
წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის
შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების
საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 279,650.0 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 96,206.8 ათას ლარს.
საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს
საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო
მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის:

ქონების გადასახადი - 40,000.0 ათასი ლარი;

დამატებული ღირებულების გადასახადები - 56,206.8 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 116,196.7 ათასი ლარით: მათ შორის:

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)) მიმდინარე დანიშნულების გრანტი - 196,7 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 52,210.0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 63,790.0 ათასი ლარი.

2023 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 54,246.5 ათასი ლარის ოდენობით:

• საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3,420.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 1,590.0 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,830.0 ათასი ლარის ოდენობით.

• საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 43,750.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები - 750.0 ათასი ლარის ოდენობით.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 37,700.0 ათასი ლარის ოდენობით.
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 5,300.0 ათასი ლარის ოდენობით.

• ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5,900.0 ათასი ლარის ოდენობით.

• შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,176.5 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 13,000.0 ათასი ლარით.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 284,950.0 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

• ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 67.1% - 191,164.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 37,158.4 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 64,871.9 ათასი ლარი;
- პროცენტი - 4,858.4 ათასი ლარი;
- გრანტები - 15.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 23,269.1 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 15,339.3 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 45,652.0 ათასი ლარი;

• მთლიანი ასიგნებების 23.1% - 65,734.1 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

• ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 28,051.8 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 9.8%-ია.

• პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 45,503.3 ათასი ლარი, მათ შორის:

ა) სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 32,910.2 ათასი ლარი;

ბ) სარეზერვო ფონდი - 1,850.0 ათასი ლარი;

გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 100.0 ათასი ლარი;

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 121,366.5 ათასი ლარი;

- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 26,396.2 ათასი ლარი;

- განათლება - 36,329.2 ათასი ლარი;

- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 18,594.9 ათასი ლარი;

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 25,462.2 ათასი ლარი;

- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 1,322.4 ათასი ლარი;

- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 9,975.3 ათასი ლარი.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
სულ ასიგნებები		284,950.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	45,503.3
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3,002.4
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7,503.7
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	32,910.2
01 04	სარეზერვო ფონდი	1,850.0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	100.0
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	20.0
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	40.0
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	77.0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	121,366.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	36,901.5

02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	30,139.5
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	13,700.6
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული მენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	30,028.3
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	822.3
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	7,174.5
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	2,599.8
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	26,396.2
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	16,104.5
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	10,291.7
04 00	განათლება	36,329.2
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	36,154.2
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	175.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	18,594.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	6,004.0
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	2,740.7
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	3,726.5
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	3,712.5
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	2,083.2
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	328.0
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	25,462.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	7,876.7
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	16,635.4
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	950.1
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	1,322.4
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	1,125.7
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	196.7
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	9,975.3
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	8,975.3
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	1,000.0

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 28,522.5 ათასი ლარი;
- ✓ თავდაცვა - 20.0 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 60,168.9 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა - 26,305.1 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 52,048.8 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 7,981.7 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 28,886.6 ათასი ლარი;
- ✓ განათლება - 36,329.2 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 16,635.4 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 5,300.0 ათას ლარს, რაც შემოსავლების (2022 წლის) ზრდის ფარგლებში მიღებული ფინანსური სახსრებია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველ ვერსიაში განხორციელებული ცვლილებები დეტალური განმარტებით დანართის სახით თან ერთვის (დანართი 1).

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში და საბიუჯეტო პროგრამებში/ქვეპროგრამებში
განსახორციელებული ცვლილების შესახებ

შემოსულობების ცვლილება

(ლარებში)

№	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	შენიშვნა
1	გადასახადები	2,053,300	
1.2	დამატებული ღირებულების გადასახადები	2,053,300	იზრდება გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების წლიური საპროგნოზო მარჯვენებები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 6 დეკემბრის N 04-03/110987 წერილი)
2	გრანტი	2,196,700	
2.1	სერთიფიკატის ორგანიზაციებიდან მიმდინარე დანიშნულების გრანტი	196,700	გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში (კონკურსის ფარგლებში) გადმოსაცემი საგრანტო თანხა
2.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	-1,750,500	იზრდება ტრანსფერის მოცულობა, ასევე განხორციელდა ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი (ტრანსფერის სახეობის შორის) თანხების წაწილში
2.3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	3,750,500	
	სულ ჯამი	4,250,000	

გადასახდელების ცვლილება

(ლარებში)

კოდი	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	შენიშვნა
02 01 05	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	1,008,300	<i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, იუსტიციის სახლის მიმდებარე უსაფრთხოების კენჭულის მოწყობა	87,840	დაემატა ახალი ღონისძიება
	პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება	529,980	დაემატა ახალი ღონისძიება
	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები - 10 ლოკაცია	969,484	დაემატა ახალი ღონისძიება
	ქ. ბათუმში, ყალიბ შერვაშიძის აღმართი N26-ის მიმდებარე ფერდსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები)	-579,004	დაზუსტდა ღონისძიების საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც გადატანილ იქნა 02 03 05 ქვეპროგრამაში
02 03 05	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	375,900	<i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, მდ. მეჯინისწყალზე, ფრიდონ ხალვაშის გამზირისა და მაჭავარიანის ქუჩის კვეთიდან, მ. შარაშიძის და მაჭავარიანის ქუჩების დამაკავშირებელ ხიდამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა	-160,395	მცირდება ღონისძიების დაფინანსება, საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაზუსტების გათვალისწინებით
	ქ. ბათუმში, ყალიბ შერვაშიძის აღმართი N26-ის მიმდებარე ფერდსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები)	536,295	ღონისძიება გადმოტანილ იქნა 02 01 05 ქვეპროგრამიდან
03 02 02	პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა	669,100	<i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	გულიაშვილის N3-ის მიმდებარე სკვერის მოწყობა	465,986	დაემატა ახალი ღონისძიება
	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. #8-ში სკვერის რეაბილიტაცია	203,114	იზრდება ღონისძიების დაფინანსება, საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაზუსტების გათვალისწინებით
04 01 03	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	2,000,000	<i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, ქათამაძის ქ. N38-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა		
	ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა და საბავშვო ბაღის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა	2,000,000	დაემატა გარდამავალი ღონისძიების სახით, მრავალწლიანი პროექტები (2022-2023 წ წ.) პროექტის ღირებულება 5 876 705 ლარი
	ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, ჭავჭავაძის ქ. N7-ის მიმდებარე საბავშვო ბაღის მშენებლობა		
06 01 06	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია		
	ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ახალშობილთა მეორადი (საჭიროების შემთხვევაში) სქრინინგი მუკოვისციდოზზე	-18,200	ამოღებულ იქნა ღონისძიების დაფინანსება, დაფინანსება განხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან
	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	18,200	გაიზარდა ღონისძიების დაფინანსება
07 01 01	მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება	196,700	
	ბათუმი - ახალი სტარტაპ კოსისტემა საქართველოში	196,700	ახალი ღონისძიება, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“. მიღებული გრანტი
	სულ ჯამი	4,250,000	